

**12. საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს გალის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს, 1993 წლის 24 ივნისი.**

საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს გალის, რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს

საქართველოს პარლამენტი მოგმართავთ იმის თაობაზე, რომ აფხაზთა მხრიდან უკვე მერამდენედ დაირღვა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ბოლო დღეებში ასეთ ფაქტებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი, ხოლო 24 ივნისს სოხუმი ბარბაროსულად დაიბომბა. არის მსხვერპლი, დიდი მატერიალური ზარალი.

რუსეთ-საქართველოს მიმდინარე წლის 14 მაისს (ისევე როგორც 1992 წლის 3 სექტემბერს) შეთანხმების თანახმად რუსეთის მხარე პასუხისმგებელია ამ დოკუმენტებში დაფიქსირებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

საქართველოს მხარე ყველაფერს აკეთებს 14 მაისის შეთანხმების ყველა პუნქტის დაცვისათვის, პრობლემის როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. მიუხედავად ამისა, ქართული მხარის განუხრელი მცდელობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის არაერთხელ ჩაიშალა აფხაზ სეპარატისტთა მიზეზით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად, რუსეთის მხარე მოვალეა სათანადო რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ ვითარებაზე, განუხრელად შეასრულოს ის ვალდებულება, რომ არ დაუშვას მოვლენათა მოსალოდნელი კატასტროფული განვითარება, ამასთან, შექმნილი ვითარების ფონზე უკიდურეს შემფოთებას იწვევს რუსეთის ზოგიერთი რეაქციონერი თანამდებობის პირის უპასუხისმგებლო განცხადებები. საქართველოს საშინაო მოწყობის საქმეში უპრეცედენტო ჩარევის მათი მოთხოვნები, სხვა ანალოგიური ქმედებები სეპარატისტთა სტიმულირებისა და რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების ჩაშლისაკენ არის მიმართული.

საქართველოს პარლამენტი მოგმართავთ მოთხოვნით უმოკლეს ვადაში განახორციელოთ ყველა აუცილებელი ღონისძიება რუსეთის მიერ აღებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად, საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის საყოველთაოდ რიარებული პრინციპების დასაცავად.

24 ივნისი 1993 წელი.

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, # 5-8, 1993, გვ. 550-551)